



ქალაქ თბილისის მერია
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
TBILISI CITY HALL
ECOLOGY AND GREENERY PLANTING CITY DEPARTMENT

№ 11/118698-7; 11/118709-25; 07/118693-25

"21" 09 2011 წ.

ააოპ „უსაფრთხო სივრცის“ თავმჯდომარეს
ქალბატონ ანა გაბრიადეს
მის. ქ. თბილისი, დიდმის მასივი, V კვარ, VI კორ, №46
ტელ: 2523530

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თქვენი 13.09.11 განცხადებების (№11/118698-7, №11/118709-25, №07/118693-25) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული ბალ-სკვერების სახელწოდებების შესახებ მიმართეთ ქ. თბილისის საკრებულოს, ხოლო მათი მოვლა-პატრონობა ხორციელდება ჩვენი სამსახურის თანამშრომლებისა და შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების რეკომენდაციის საფუძველზე.

რაც შეეხება ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიაზე, კერძოდ კი ქერჩის ქუჩაზე ფიჭვების ნარგავობის ხმობას – 2010-2011წ ფიტო-სანიტარული მონიტორინგმა და შესაბამისმა ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ხმობაში მყოფი გამხმარი მცენარეების წიწვებზე გამოვლინდა სხვადასხვა მავნებელ-დაავადებები მათ შორის: შუტე (რომელიც იწვევს წიწვების ნაადრევ ცვენას), დიპლოდიოზი, ფაციდიოზი, ქერმესები, ფიჭვის ჩვეულებრივი ფარიანა და სხვა, რომლის წინააღმდეგაც პერიოდულად გამოყენებული იქნა შხამქიმიკატი „ფასტაკი“სა და „კაბრიოტოპი“ს კომბინირებული ნაზავი.

ფიჭვებზე ფიტოსანიტარული კვლევა მომავალშიც გაგრძელდება და მიღებული იქნება აგროტექნიკური და ქიმიური ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებები.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი

გიორგი ქორჯაშვილი